№ 272 დეკემბერი 25, პარასკევი 1887 დეკემბერი 25, პარასკევი № 272

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 29 დეკემბერს

გამომცემლის გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იყიდება

ლოტო ანდაზებისა

შედგენილი ანდრია დუღლაძის მიერ.

ეს ლოტო პედაგოგიურის დანიშნულებით არის შედგენილი, უმცა ციფირების ლოტოს მაგიერობასაც გასწევს და სასიამოვნო დროს-გასატარებელი სათამაშოა.

ფასი სამი აბაზი, ქალაქს გარეშე გაგზავნით ოთხი აბაზი. ლოტო ლამაზს ყუთშია ჩალაგებული.

გამოვიდა და იყიდება
ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
საქართველოს
კალენდარი
შედგენილი
გალ. გუნიას მიერ.
ფასი ორი აბაზი

ტფილისი, 24 დეკემბერი

მოგილოცავთ წმინდა დღეს ქრისტეს შობისას. მოგილოცავთ იმასკი არა, რომ ეს დიდებული დღე შეგიძლიანთ გაატაროთ უქმად, მოგილოცავთ იმიტომ კი არა, რომ ეს დღე უქმობის დღედ მიგვაჩნია. არამედ იმიტომ-რომ ამ დღესთან ერთად მოეფინა ქვეყნიერობას ნათელი ჭეშმარიტებისა და ხორცისაგან ძლეული სული აღმობრწყინდა მთელის თავის საოცარის მშვენიერებითა. დღეს იშვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, ძედ კაცისად მოვლენილი ქვეყანაზედ, რომ კაცს კაცობა ასწავლოს, კაცობა უმოძღვროს. დღეს იშვა ღმერთი უანგარიშო სათნოებისა, მოწყალებისა, ღმერთი ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა. აი რით არის სასიხარულო, კურთხეული და მისალოცავი ეს დიდებული დღე, ეს დიდებული დღესასწაული უბიწოდ შობილისა, რომელმაც კაცთ-მოყვარეობასა და ურთიერთის სიყვარულზედ ააშენა თვისი დიდებული მოძღვრება კაცთა ხსნისა და მაცხოვარობისა.

აი დღევანდელის დღის სიხარულმა სად უნდა მიაწვდენინოს თვალი ადამიანსა და უკვე ჩასახული ადამიანის გულში ყოვლად მხსნელი სიყვარული მოყვასისა ააფრთოვანოს, გააძლიეროს მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის. ამ მხრით დღევანდელი დღე არის დღე შრომისა, დღე თავის თავის განკითხვისა. აქ სული და გული ადამიანისა უნდა პასუხს აძლევდეს იმ ყოვლად მოწყალე მსაჯულსა, რომელსაც მოძმეთა სიყვარული ჰქვიან და რომელიც ასე უანგაროდ სტირის მტირალთან, ჰხარობს მოლხინართან, იტანჯვის ტანჯულთან, პურს აწვდის მშიერსა, წყალს აწვდის მწყურვალსა, ჰმოსავს შიშველ-ტიტველსა, ოფლსა სწმენდს მაშვრალსა, ნუგეშს სცემს სნეულსა და დავრდომილსა, ჰპატრონობს ობოლსა, ასულმდგარებს დევნულთა მართლისათვის და ათბობს და ანათებს ქვეყნიერობასა ხსნისა და ცხონებისათვის.

ეს დღე მისალოცავია და ჭეშმარიტად სადიდებელი მარტო იმისთვის, ვინც გაგებით და ცოდნით, გულით და სულით იტყვის დღევანდელს დღეს:

„შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო ჩვენო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავებსა ჰმსახურებდნენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანის-ცემა შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავლეთით, უფალო დიდება შენდა“.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მოგვივიდა ახალი „საქართველოს კალენდარი“ 1888-ს წლისა, ბ-ნ გალერიან გუნიას მიერ შედგენილი. ეს ახალი კალენდარი ჩვეულებრივ საკალენდარო ცნობათა გარდა შეიცავს სხვა მრავალ ცნობათაც, ასე რომ დღემდის გამოცემულ კალენდრებთან შედარებით უფრო ვრცელია. გუნიას კალენდარი შეიცავს სასტატისტიკო, საქმიო, საფოსტო, იურიდიულ და სხვა მრავალს ცნობებს. წიგნში აგრეთვე მოქცეულია სალიტერატურო განყოფილებაც. ამ განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „წმიდა ნინო“, „შეთქმულება გიორგი სააკაძისა“, „საპოლიტიკო მიმოხილვა“, „შესანიშნავი მოვლენანი საქართველოს ცხოვრებიდგან“ და, „ჩვენი ცხოვრების გზა-კვალი“, ბოლოში მოქცეულია ორი ლამაზი ლექსი თ. რაფ. ერისთავისა. წიგნი ლამაზად და სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ორი აბაზი.

⁂ იმ დღეს გაზ. „Кавказъ“-იდამ მოვიყვანეთ ცნობა, ვითომც ქუთაისში სემინარია დაარსდებაო. ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ეს ცნობა ჯერ ადრეულია.

⁂ გამოვიდა და იყიდება ქართული სათამაშო ლოტო, შედგენილი ბ-ნ ან. დუღლაძის მიერ. ერთი ყუთი ამ ლოტოსი თავისის კუთვნილებით ღირს სამი აბაზი; ლოტოს თანა აქვს პატარა ბროშურა, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ უნდა იხმარონ ლოტო.

⁂ ეხლახანს ტფილისის მოქალაქემ, სამწერლო ნივთების მოვაჭრემ, სულიკოვმა, დაბეჭდა „კავკასიის რკინის გზისა“ და „საქართველოს სამხედრო გზის“ მაჩვენებელი, უბის წიგნად სახმარი. მაჩვენებელში აღნიშნულია სადგურები გზისა, მანძილი სადგურებ შუა, დრო რამდენიც მატარებელს უნდება ერთის სადგურიდგან მეორემდე გასავლელად და დრო დასასვენებლად. სახელები სადგურებისა აღნიშნულია რუსულად და ფრანგულად. ფასი ექვსი შაურია.

⁂ ქუთაისიდამ დიდს სამდურავს იწერებიან გეგუთის ქუჩის მცხოვრებნი: ეს ქუჩა საშინელს მდგომარეობაშია, ათხრილ-ჩათხრილი, ოღრო-ჩოღრო, კაცი კისერს მოიტეხს უავდროებაში და ავდარში ხომ ძაღლსაც არ გაუვლება. ფარნები დგას, მაგრამ იშვიათად ანთებენო.

⁂ გორი: კვირა დილით გარდაიცვალა აქ, გორში, გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე ჟანდიაშვილი ხუნაგითა, რომელსაც (ხუნაგს) ექიმები უწოდებენ დიფტერიტსა. ბავშვი იყო სულ რვა-ცხრა წლისა, სწავლობდა დაბალს მოსამზადებელს კლასში; შაბათს გახდა ავად ყელის ტკივილით და კვირა დილით გარდაიცვალა. ამ უცებმა სიკვდილმა ყელის ტკივილით გვაფიქრებინა ყველას, რომ

ფელეტონი

საშობაო მოთხრობა

(შჩედრინისა)

მშვენიერი ქადაგება სთქვა დღეს ჩვენმა სოფლის მღვდელმა შობის სადღესასწაულოდ. იმანა სთქვა:

„ბევრი საუკუნეა მას აქედ, რაც სწორედ ამ დღეს მოვიდა ქვეყნად **მართალი**.

„**მართალი** უკუნითი უკუნისამდეა. იგი ყველაზედ უწინარეს იჯდა კაცთ-მოყვარე ქრისტესთან ერთად მარჯვენედ მამისა, ქრისტესთან ერთად განხორციელდა და მნათობი თვისი აანთო დედამიწაზედ. იგი იდგა ჯვართან და თანა-ჯვართ-ეცვა ქრისტესთან. იგი იჯდა, ვითარცა სხივოსანი ანგელოზი, ქრისტეს საფლავზედ და ნახა აღდგომა მისი. და როცა კაცთ-მოყვარე ამაღლდა ზეცად, დაუტევა **მართალი** დედამიწად, ვითარცა ცოცხალი მოწამე თვისის უცვალებელის მოწყალებისა კაცთა ნათესავის მიმართ.

„მას აქედ არ არის არც ერთი პაწია კუთხეც ქვეყნიერობაზედ, სადაც **მართალი** არ მისწვდომოდეს და თავისის მადლით არ აევსოს მიწდომილი. **მართალი** სწურთვნის ჩვენს სინიდისს, ათბობს ჩვენს გულს, აცოცხლებს ჩვენს შრომას, გვაჩვენებს საგანს, რომელზედაც უნდა მიიმართოს ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება. გამწვავებული გული ჰპოულობს **მართალში** ჭეშმარიტს და ყოველთვის კარ-ღია ბინას, სადაც შეუძლიან განისვენოს და ნუგეშ იცეს წუთისოფლის ვნებათაგან.

„ტყუილად ჰფიქრობენ იგინი, ვინც გვარწმუნებს, ვითომც **მართალი** თავის სახეს ჰმალავდეს, ანუ—უფრო უარესი—ოდესმე დამარცხებულიყოს უმართლობისაგან. არა, იმ საჭირ-ბოროტო დროსაც, როცა არა-შორსმხედველ კაცს ჰგონებია, ვითომც ძლევით შემოსილა მამა სიცრუისა, მაშინაც-კი ძლევა-ჰმოსილობს **მართალი**. მარტო **მართალია** უცვალებელი, მარტო მას არ ერჩის დრო და შემთხვევა; მას ყოველთვის პირდაპირ და უცვალებლად უვლია წინ და ფრთანი თვისნი გარდაშლილი ჰქონია მთელს ქვეყნიერობაზედ და თანდაყოლილის ნათელით გაუნათებია ყოველი. ტყუილი ძლევა-მოსილობა სიცრუისა გაფანტულა, როგორც მძიმე სიზმარი, ხოლო მართალი არასოდეს არ შეფერხებულა და არ დაუყოვნებია მსვლელობა თვისი.

დევნულთა და დამდაბლებულთა თან-ჩაჰყოლია იგი ხვრელსა და ორმოებში, დაუვლია მთანი და ხეობანი. მართალთა თანა ჩამდგარა ცეცხლში და გვერდით სდგომია მტანჯველთა და მწამებელთა თვალთა წინაშე. მას უძლიერებია ტანჯულთა სული ღვთაებურის ცეცხლითა და დაუხსნია იგინი სულ მოკლეობისა და გმობისაგან, მას უსწავლებია, მას შთაუგონებია სიტკბოება წამებისა. ამაოდ ჰგონებიათ მსახურთა სიცრუისათა, ვითომ ძლევა-ჰმოსილობენ, როცა ჰხედავდნენ მაგ ძლევა-მოსილებას იმ ხორციელ ნიშნებში, რომელსაც წარმოადგენს წამება და სიკვდილი. თვით უძლიერესთა, უსაშინელესთა წამებათა ვერ შეადრკეს, ვერ გადასტეხეს **მართალი**, პირ-იქით, უფრო განუძლიერეს, უფრო მოუმატეს ძალა მიმზიდველობისა. ამ წამებათა დანახვაზედ აღინთებოდნენ გულნი უბრალონი და ამ გულთა შინა **მართალი** ჰპოულობდა ნაყოფიერს მიწას ხვნისა და თესვისათვის. ცეცხლები ენთნენ და ჰშუსრავდნენ ხორცთა მართალთა, ხოლო ამ ცეცხლთა ალთაგან აღინთებოდა ხოლმე მრავალის-მრავალი მნათობი ისე, როგორც ბრწყინვალე ცისკარზედ ერთის სანთლისაგან განათდება ხოლმე უეცრად მთელი ტაძარი ათასის სანთლითა.

„რაში მდგომარეობს **მართალი**, რომლის გამო მე გესაუბრებით თქვენ? ამის პასუხს იძლევა სახარების მცნება. ყოველთ უწინარეს გიყვარდეს ღმერთი და მერე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. მცნება ესე მოკლეა, მაგრამ მასშია გამოთქმული მთელი სიბრძნე, მთელი აზრი კაცთა ნათესავის ცხოვრებისა.

„გიყვარდეს ღმერთი, რამეთუ იგია ცხოვრების მომნიჭებელი და კაცთ-მოყვარე, რამეთუ იგია წყარო სათნოებისა, სულის მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისა. მას შინა არს **მართალი**. თვით ამავე ტაძარში, სადაც ღმერთსა ვწირავთ უსისხლო მსხვერპლსა, თვით ამავე ტაძარში-მეთქი, განუწყვეტლად ვემსახურებით **მართალსა**. თვითეული კედელი ამა ტაძრისა **მართლით** არის განსმჭვალული, ასე რომ თქვენ და თქვენზედ უარესნიც-კი შემოდიხართ ტაძარსა შინა და გრძნობთ, თითქო მშვიდობა მოეფინა თქვენს გულს და ნათელმა განანათლა გონება თქვენიო. აქ, ჯვარ-ცმულის წინაშე, წუხილი თქვენი ჰპოვებს განქარვებას, შეშფოთებული სული თქვენი—მოსვენებასა. იგი იქმნა ჯვარ-ცმული **მართლისათვის** და სხივნი სიმართლისანი მისგან მოეფინა სოფელსა და ნუ თუ თქვენ შეუდრკებით-ღა განსაცდელსა და წარიკვეთთ სასოებასა?

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი—აი ეს არის მეორე ნაწილი ქრისტეს მცნებისა. არ განვაგრძობ სიტყვასა მასზედა, რომელ მოყვასის უსიყვარულოდ არ შეიძლება კაცთა კრებულის ცხოვრება, ვიტყვი პირდაპირ: სხვა სიკეთეც რომ არა სჭირდეს-რა, ეს სიყვარული მარტო თავისით არის მშვენიერება და სიხარული ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი იმიტომ-კი არა, რომ იმასაც ვუყვარდეთ, არამედ თვით სიყვარულისათვის. უნდა გვიყვარდეს მუდამ, განუწყვეტლივ, თავ-განწირვით და მზანი ვიყვნეთ თავდადებად ისე, როგორც კეთილმა მწყემსმა დასდო თავი თვისთა ცხოვართათვის.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ შველას მოყვასისას და ფიქრადაც არ გავიტაროთ, გადაგვიხდის, თუ არ გადაგვიხდის სამაგიეროს; უნდა ვიფარვიდეთ მოყვასსა განსაცდელისაგან მაშინაც-კი, როცა განსაცდელი თვით ჩვენც თავს დაგვტრიალებს და უბედურებას გვექადის; ჩვენ უნდა მეოხ ვექმნათ მას წინაშე ძლიერთა ამა სოფლისათა; უნდა ბრძოლად გავდიოდეთ მისთვის. გრძნობა სიყვარულისა მოყვასის მიმართ არის ის უზენაესი საუნჯე, რომელიც მარტო კაცსა აქვს მომადლებული და მარტო ამით ადამიანი არა ჰგავს პირუტყვსა. ეს ცხოველ-მყოფელი ძალა რომ არ არსებობდეს, ყოველივე საქმე კაცისა მკვდარი იქმნებოდა, თვით აზრი და საგანი ცხოვრებისა—გაუგებარი და ბნელი. მარტო იმათ შეუძლიანთ დაიქადონ, ვცხოვრობთ ნამდვილის, სრულის ცხოვრებითაო, ვისაც გულს სიყვარული უნთია და თავგანწირულების გრძნობით არის გამსჭვალული; მარტო ამისთანანი ხარობენ თავიანთ სიცოცხლეში ჭეშმარიტის სიხარულითა.

„მაშ გვიყვარდეს ღმერთი და ერთმანერთი. ეს არის აზრი კაცობრივის **მართლისა**. ვეძიოთ ეს **მართალი** და შევუდგეთ გზასა მისსა. ნუ შევუშინდებით ტყუილის მანქანებათა, არამედ ვსდგეთ კეთილად და ბოროტთა მანქანებასა ჩვენ მიერ შეძენილი **მართალი** პირში წავუყენოთ. ტყუილი შერცხვება, გარნა **მართალი** დარჩება და გაათბობს გულსა კაცთასა.

„აწ მიიქცევით თქვენ სახლებად თქვენდა და მიეცემით სიხარულს, რომ დღეს იშვა უფალი ღმერთი ჩვენი და კაცთ-მოყვარე ძე ღვთისა, ხოლო სიხარულსა შინა თქვენსა ნუ დაივიწყებთ, რომ ქრისტესთან ერთად მოვიდა ქვეყნად **მართალი**, და იგი **მართალი** ყოველ დღე, ყოველ ჟამსა, საათსა და წუთს თქვენ შორის იმყოფება. იგი ღვთიური ცეცხლია და ანათებს და ათბობს კაცთა არსებობასა“.

როცა მღვდელმა გაათავა და ხორომ დასძახა: «იყავნ სახელი უფლისა კურთხეულო», ეკკლესიაში მყოფთ ღრმად ამოიკვნესეს, თითქო იმოდენა მლოცველმა ხალხმა ამ ამოკვნესით ბანი მისცა: «დიახ, იყავნ კურთხეულო!»

(შემდეგი იქნება)

იგი დიფტერიტით გარდაიცვალა, და ამიტომ სასწავლებლის გამგეობამ კვირასვე დაითხოვა თავისი მოწაფენი. უნდა მიცვალებული გაეჩრათ და გამოეკვლიათ, თუ რა ავადობით მოკვდა, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არა ვიცით-რა.

⁂ ცხინვალი: ამას წინად, როგორც „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, დ. ცხინვალში უცნაური მკვლელობა მოხდა: დაარჩეს ცხინვალში მცხოვრებელი, ალალო ხოჯაევი. ეჭვი მიიტანეს შინაურებზედა და დაპატიმრეს ცოლი, სიდედრი და ცოლის-ძმა განსვენებულის ხოჯაევისა. დღეს დამნაშავენი გორის საპყრობილეში სხედან. როგორც ამბობენ, ეს შინაურები მხოლოდ ეჭვით დაიჭირეს, პირდაპირ ხელ-მოსაჭიდი ნიშნები იმათის დამნაშავობისა არა სჩანსო; გერავერში ვერ გამოუტეხნიათ, ვერა უთქმევინებიათ-რა, თუმცა ყველა იმ აზრისაა, რომ შინაურებმა მოჰკლესო. აი ხალხი რას ამბობს: ცოლთან უსიამოვნობა ჰქონდა იმ ღამეს, როცა დაარჩეს, ვითომც ცოლს წვეულობა გაუმართავს და მოუწვევია სასურველნი კაცნი. ალალო დუქანში ყოფილა. ვახშმობის დროს ბიჭისთვის უთქვამს—მე სახლში წავალ, პურსა და წნილს ჩამოვიტან და მალე დავბრუნდებიო. წასულა სახლში და ღრეობა დახვედრია; შეჰყოლიან, წაუგდიათ წისქვილის ქვეშ და დაუხრჩვიათ. შემდეგ ლიახვს პირს ჩაუტანიათ და დაუგდიათო. იმასაც ამბობენ, ვითომ დამხრჩვალს იღლიაში პური სჭერია და წნილი, რომლისათვისაც სახლში წავიდა დუქნიდამაო.

⁂ იქიდამვე: 23 დეკემბერს ერთი უცნაური ამბავი გავიგეთ და არ ვიცით, თუ რამდენად მართალია. დაუჭერიათ ვიღაც ნადიაკვნარი, რომელიც ამ ზაფხულინდელს ავაზაკობაში მონაწილე ყოფილა. ამ ცოტა ხანში ვიღაც მღვდელს დასცემიან ეს ნადიაკვნარი და ხუთაგური. ხუთაგური გაჰქცევიათ და ნადიაკვნარი დაუჭერიათ. ამასაც თავი დაუმტვრენია და ციხიდამ გამოუშვიათ; მერე ვითომ გორში დისტანციის უფროსი, ბ-ნი ხმიადაშვილი, შეხვედრია, უცვნია, დაუჭერია და ციხეში გაუგზავნია. თუ ეს ამბავი მართალია, ახლა-კი გავიგებთ ამ ზაფხულინდელ ავაზაკობის ვინაობასა. ნამდვილს მალე გაცნობებთ.

⁂ ქართლი: თუმცა ამას წინად ვიწერებოდით, რომ სიმინდის მუშტრები არ არის დღეს ქართლშიო, მაგრამ ეხლახან გაჩნდნენ ვაჭრები, რომელნიც ბლომადა ყიდულობენ და მიეზიდებიან ფოთისაკენ. ფუთი სიმინდი დღეს ფასობს ათი შაური. თუმცა ვაჭრები იძლევიან ცხრა შაურს, მაგრამ მწარმოებელნი ფასს აჭერენ.

ეს ორი დღეა ქართლში წვიმს და მოთოვს; მთები ფიფქით შეიმოსა, მაგრამ ბარად-კი ვერ ჩამობედა თოვლმა.

უსაფუძვლო შენიშვნის გამო

(წერილი ბ-ნო დ. ფურცელაძის და ვლ. მიქელაძის მიმართ)

როგორც „ივერიის“ მე-269 №-იდგან სჩანს, პატივცემულ რაფ. ერისთავს საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზედ წაუკითხავს ჩემის ეტნოგრაფიულ წერილებიდგან მოხსენება ხევის-ბერობაზედ და ხატობაზედ. ორივე საგანი, შეძლებისადაგვარად, მე საკმაოდ ვრცლად განვიხილე ჩემს წერილებში და საკუთარი აზრი წამოვსთქვი მათზედ. ჩემი მსჯელობა დავამყარე როგორც ხევსურთა ცხოვრების შესწავლასა და ცოდნაზედ, ისე ჩვენის ძველის კანონების განხილვაზედ. მეფე გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-დების“ შესწავლამ საბუთი მომცა იმ აზრის დასკვნისა, რომ ძველ დროს ხევის-ბერი „ლაშქართა თავადი იყო“, სამხედრო თანამდებობის გარდა, სხვა საერო უფლებაც ხელთ ეპყრა, მხოლოდ საერო და არა საეკკლესიო, სასულიერო. ვისაც სურს დარწმუნდეს, თუ რამდენად საფუძვლიანია და შესაწყნარებელი ჩემი შეხედულობა და დედა-აზრი ხევის-ბერობაზედ, იმას შეუძლიან მიჰმართოს თვით „ძეგლის-დებას“ და და ჩემს წერილებს („დროება“ 1885 წ. №№-ები მე-165 და 166). სამწუხაროდ, ჩვენში საგნის შესწავლას მაგარე რიგად ყურადღებას არ აქცევენ და, როცა კამათობა ასტყდება ხოლმე, რომელსამე სამეცნიერო თუ სხვა გვარ საგანზედ, საკმაოდ მიაჩნიათ მარტო ცალიერ სიტყვების რახა-რუხი და აქა-იქ გაგონილ თუ მოგონილ აზრის წარმოთქმა. მეტადრე თუ საჯაროდ მეტყველი რიხით და გამბედაობით ისვრის სიტყვებსა, თავ-მოწონებით ჰლალადებს უსაფუძვლო აზრს—საქმე გაჩალხულია და გაჩალხული!..

ხევის-ბერობაზედ კამათობასაც ეს ბედი ეწია. ჯერ ისევ მოსკოვის საეტნოგრაფიო საზოგადოების კრებაზედ ჩვენი ახალგაზდა ეტნოგრაფი ა. ხახანაშვილი ამტკიცებდა, რომ „ხევის-ბერი იყო და არის სარწმუნოებრივის წესის აღმსრულებელიო“[1]. ბ-ნი დ. ფურცელაძე ტფილისიდგან ბანს აძლევს ჩვენს მოსკოველ სტუდენტს და ამბობს: „ურბნელის აზრი ხევის-ბერების შესახებ მართალი არ არისო. ხევის-ბერები თავიდამვე მღვდელ-მსახურნი იყვნენ და, თუ საერო საქმეებშიაც იღებდნენ მონაწილეობას, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რა მიზეზითაც დანარჩენს საქართველოში მღვდელ-მსახურნი, ჟამსა გაჭირებისასა, მიჰმართავდნენ ერსა, საომრად იწვევდნენ და ზოგჯერ წინ უძღოდნენ კიდეცაო“[2]. მაგრამ რაც ახალგაზდა სტუდენტს ეპატიება, ის ბ-ნს დ. ფურცელაძეს დიდ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს. ეს იმიტომ, რომ დ. ფურცელაძეს ერთხელ მაინც ჰქონია ხელში „ძეგლის-დება“ და იქ ხომ ასე სწერია: „ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებიათ“, „სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათოლიკოზსა და მათ განაჩენთა, მათზედა ეპისკოპოზთა ჰკითხიან“ და სხვ. მთელს „ძეგლის-დებაში“ ერთი სიტყვაც არ არის მოხსენებული იმის შესახებ, ვითომ „ხევის-ბერები თავიდამვე მღვდელ-მსახურნი ყოფილიყვნენ. მართალია, საქართველოში მღვდელ-მსახურნი ლაშქარს წინ მიუძღოდნენ ხოლმე და ბევრს ეპისკოპოზსაც გამოუჩენია სარდლობის ნიჭი, მაგრამ ამ საბუთიდგან იმ აზრის დასკვნა, რომ ხევის-ბერი მღვდელ-მსახური იყოვო, ისეთივე უსაფუძვლო იქნება, როგორც იმისი, ვითომც ეპისკოპოზი სამხედრო კაცი და მოხელე ყოფილიყოს... არა თუ მარტო «ძეგლის-დებაში», ვახტანგის მთელ კანონთ კრებაში ერთს მუხლსაც ვერ იპოვნით, სადაც მოხსენებული იყოს, რომ ხევის-ბერი სასულიერო კაციაო... და თუ დ. ფურცელაძეს არა სჯერა ჩვენი აზრი, აბა, გვიჩვენოს, სად არის მოხსენებული, რომ ხევის-ბერი სასულიერო კაცი ყოფილიყოს.

საოცარი უფრო ისაა, რომ ბ-ნ დ. ფურცელაძისათვის საკუთარ მეხსიერებას უღალატნია, იმას სრულიად დავიწყებია თავისივე გუჯრები. იმისგან გამოცემულ გუჯრებში არა ერთს და ორს ადგილას არის მოხსენებული, რომ საქართველოს ეკკლესიას არაოდეს არა სწამდა ხევის-ბერობა მღვდელ-მსახურებად. მართლ-მადიდებელი ეკკლესია ყოველთვის იმას ჩიოდა, რომ **დეკანოზებმა** (ხალხის აზრით, დეკანოზი იგივე ხევის-ბერია) მიითვისეს საეკკლესიო უფლება და მღვდელ-მსახურებას ასრულებენ, ამის მიზეზად სხვა-და-სხვა ისტორიული გარემოებანი იყვნენო. 1798 წ. არაგვის ერისთავმა ზაალმა მთიულეთში გაგზავნა წილკნის ეპისკოპოსი რომანოზი და ეპისკოპოსმა კიდევ აუკრძალა საერო მოხელეებს, მღვდელ-მსახურებას ნუ შეასრულებთო, და ხალხს ნამდვილი მღვდლები დაუყენა (Груз. Церк. Гуджари. Д. Пурцеладзе, стр. 25). თუ **ხევის-ბერები თავიდამვე მღვდელ-მსახურნი იყვნენ**, მღვდლების გამწესება რაღა საჭირო იყო?! კათოლიკოზ იოსების ეპისტოლეში, რომელიც 1762 წ. წარეგზავნა დოსითეოზ ნეკრესელს, პირდაპირ მოხსენებულია, რომ მღვდლებს უბრძანე, დეკანოზებმა საეკკლესიო წესები არ აასრულონო (Гуджари, ст. 40—41). ამ ეპისტოლის მეცხრე მუხლში ნაჩვენებია, რომ უსწავლელი და მოუმზადებელი, სახარების არა-კარგად მკითხველი მღვდლობის ღირსი არ არის და ნურც აკურთხებთო... თუ ასე იყო, სასულიერო სწავლაში უვიც ხევის-ბერს როგორ შეეძლო მღვდელ-მსახურება? 1789 წ. მღვდლებმა ხელ-წერილი მისცეს ნეკრესელს, რომ ჩვენს სამრევლოში **დეკანოზებს** არ გავატარებთო (Гуджари, стр. 43). დ. ფურცელაძის გუჯრებიდგანა სჩანს, რომ საქართველოს ეკკლესიას ხევის ბერები, დეკანოზები მიაჩნდა კერპ-თაყვანის-მცემლებად და სდევნიდა კიდეც. მაშ რა საბუთები აქვს ბ-ნს ფურცელაძეს, რომ საჯაროდ უარ-ჰყოფს ჩვენს აზრს ხევის-ბერობაზედ? საინტერესო იქმნება დაგვისახელოს საბუთები, თუ-კი მართლა დარწმუნებულია თავის აზრზედ. მაშინ ჩვენც სიამოვნებით შევუდგებით საგნის ვრცლად განხილვას, სიამოვნებით იმიტომ-რომ მართლაც სასიამოვნოა საბუთიანი ლაპარაკი ისეთ ძველ საპოლიტიკო დაწესებულებაზედ, როგორიც იყო ხევის-ბერობა.

ბ-ნ ვლ. მიქელაძის შენიშვნა, ვითომ ხევსურული „ხატი“ სალოცავს არ უნდა ნიშნავდესო, ისეთივე უსაფუძვლოა, როგორც იმის თანამობაასე დ. ფურცელაძის აზრი ხევის-ბერობაზედ. სიტყვა „ხატი“ სურათს ნიშნავსო, ამბობს ბ-ნი მიქელაძე. მართალია, მაგრამ მოწინააღმდეგეს ერთი უბრალო ჭეშმარიტება ავიწყდება: ქართულ ენაზედ ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად სხვა-და სხვა მნიშვნელობა აქვს. ხევსურის „ხატიც“ ნიშნავს სალოცავს და არა სურათს. თვით სალოცავში ხევსურს სურათი როდი აქვს. ხევსურეთის მთელი სალოცავები რომ დაიაროთ, ერთგანაც ვერ იპოვით სურათს. და თუ ხევსური თავის სალოცავს ხატს ეძახის, იმიტომ რომ სწამს, ამა-და-ამ ადგილას (სადაც სალოცავია) უხილავად ეს-და-ეს წმინდანი იმყოფებაო, თვით სალოცავი, სადგურია წმინდანისაო. ამისათვის ხატი, ხევსურის აზრით, სალოცავია, სადაც თუმცა წმინდანის სურათი არა დგას, მაგრამ თითონ წმინდანი-კი იმყოფება. სხვათა შორის ხევსურს სხვა-და-სხვა კერპები წმინდა არსებად მიაჩნია, სალოცავებს უწესებს კვირია-ხმელეთის მოურავს, პირქუშს, რომელსაც პირიდგან ნავთი ამოსდის და სხვა. სიტყვა „ხატი“ სურათს რომ ნიშნავდეს, მაშინ სალოცავებშიაც კვირიას, პირქუშის და სხ. სურათები იქნებოდა, მაგრამ ასე არ არის. თუ მართლა „ხატი“ სურათს ნიშნავს, მაშ ჩვენი ხალხი, როცა სალოცავად მიდის, რისთვის ამბობს „ხატობას“ მივდივარო? არა, სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით „ხატი“ სალოცავსაც ნიშნავს და არა მარტო სურათსა...

ნ. ურბნელი

ორიოდე გაკვრითი სიტყვა მდ. მტკვარზე და იმის მნიშვნელობაზე მდ. ალაზნის ჩასართავიდგან კასპის ზღვამდე

(დასასრული)*

კარგია კიდევ, რომ მდ. არაქსი, რომელიც არის ორ ნაწილად გაყოფილი, სხვის ხელში არის, თორემ თქვენი მტერი, რომ მამა-სისხლად იქნებოდა ჩვენში თევზი და ხიზილალა. არაქსში და ნარიხის ნაწილში ძლიერ ბლომად იჭერენ თევზსა, განსაკუთრებით არაქსში, სადაც აუარებელი თართი შემოდის მტკვრიდგან. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ არაქსი ჩქარი წყალია, რომელიც უყვარს თართის თევზს, უყვარს იმისთვის, რომ გაზაფხულზე მოწითანო ფერი სცემს ხოლმე არაქსს სხვა-და-სხვა მთების ჩამონარეც წყლების შეერთების გამო. აგრეთვე ტარაღანის თევზიც, როდესაც მოვა ჯავათან, იმ ადგილას, სადაც არაქსი ერთვის მტკვარს, მიდის არაქსისაკენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიდიდით არაქსმა დაჰკრა მტკვარს. ეს ხშირად ხდება ხოლმე; ხან არაქსია მტკვრის ქვეშ და ხან მტკვარი არაქსის ქვეშ. ერთის სიტყვით, რომელიც დაასწრობს მოდიდებას, იმისია ტარაღანის თევზი; თართი-კი, პატარაა თუ დიდი არაქსი, მაინცა-და-მაინც იმისკენ მიისწრაფის. არაქსზე, ხან-და-ხან მოხდება ხოლმე, რომ მოიჯარადრენი ისე ძღებიან თევზით, ყელში ყიჰყიჰით ამოზდით, არა ჰყოფნით არც მარილი და არც ხელოსნები, რომ მოუარონ თევზს და ეხვეწებიან თევზის მჭერლებს: ნუღარ იჭერთ, კარგია, საკმარისი არისო. წარმოიდგინეთ, უარს ამბობენ, არ გვინდა თევზიო. ვინ იცის, იქნება ზოგიერთმა მკითხველმა არც-კი დაიჯეროს, რომ ამ ჩვენ დარდუბალა საუკუნეში ფულზე უარს ამბობდეს ვინმე, განსაკუთრებით ვაჭართაგანი, მაგრამ ეს-კი ასე არის.

მთელს მტკვარზე შესანიშნავი ნაწილი არის: 1) ბანკისა (შიგ ზღვის პირშია); 2) ხილილისა; 3) „ბოჟე-პრომისლისა“; 4) განჯალისა; 5) აკუშა (აკუშაც სამ პატარა ნაწილად არის გაყოფილი); 6) არაქსი და 7) ნარიხისა. ამ უკეთეს ნაწილებიდგან ხაზინას შემოსდის წელიწადში შემდეგი შემოსავალი: ბანკის განყოფილებიდგან 251,000 მ., ხილილიდგან 7,000 მ., ბოჟე-პრომისლიდგან 87,000 მ., განჯალიდგან 46,000 მ., აკუშიდგან 83,000 მ., არაქსიდგან 38,000 მ., ნარიხიდგან 11,000 მ. და სხვა ნაწილებიდგან 800 მანეთიდგან 6,000 მანეთამდე. ახალის კანონით გაცემამ იმაზე ბევრად მეტი შემოსავალი მისცა ხაზინას, რასაც იჯარით გაცემა აძლევდა.

მთელი თევზის ქარხნები სომხების ხელშია, გარდა ბოჟე-პრომისლისა და ნიკოლაევისა. კარგად კეთება ხიზილალისა და თევზისა არსად სუფევს, რადგან წუწურაქობენ, არ იჭერენ კარგ მცოდნე ხელოსნებს და არა ხმარობენ კარგს მარილსა. მუშა ხალხის ჰიგიენური მდგომარეობა ყველა ქარხნებში საძაგლობაა.

გარდა მოიჯარადრებისა, რომლებსაც ხაზინიდგან აღებული აქვთ ნაწილები, მოდიან მტკვარზე კახეთიდგან, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრიდგან, ქართველებიცა საწამართოდ. დაწყებული ალაზნიდგან ჯავათამდის იღებენ მოიჯარადრებისაგან წყალს, ნაწილ-ნაწილ, ათიდგან ოც ვერსტამდის, აძლევენ ათის თუმნიდგან ორმოც თუმნამდის მარტო ლოქოს თევზის ჭერისათვის. აკეთებენ წლის პირასვე ქოხებს და აქვე ამზადებენ თევზს. ლოქოს ჯირიმს კახელები ისე მშვენივრად და საგანგებოდ აკეთებენ, რომ სწორედ სანაქებოა. კახელების გაკეთებულ-გამოყვანილის ლოქოს ჯირიმი ტფილისში მეტ ფასად იყიდება, ვინემ სხვა მექარხნების ჯირიმი. გასაკვირველია, ღმერთმანი, ამ კახელების საქმე! მოდიან საწამართოდ, იღებენ მოიჯარადრებისაგან წყალსა ორ-სამ თვეობით, აძლევენ ორმოც თუმნობით, ხედავენ რომ თევზი კარგ სარგებლობას იძლევა და ის ვერ მოუხერხებიათ, რომ ამ მოიჯარადრეებთან საქმის დაჭერის მაგიერ თვით ხაზინასთან იქონიონ საქმე; შეიკრიფნენ, როგორც ეხლა მოდიან ხოლმე, სამი-ოთხი ამხანაგნი და აიღონ მთელის წლობით იაფ ფასიანი ნაწილები, იმ ფასიანი, რომელსაც შესწვდებიან. თუ მაინცა-და-მაინც არ ეხერხებათ სხვა თევზის დაჭერა გარდა ლოქოსი, რომელსაც იჭერენ წელკავით, მაშინ შეუძლიანთ გაჰყიდონ ადგილობრივ მცხოვრებლებზე სხვა თევზის ჭერის უფლება. დღეს ადგილობრივი მცხოვრებნი დიდის სიამოვნებით ყიდულობენ მოიჯარადრებისაგან უფლებას თევზის ჭერისას. თითო ნავზე (ნავზე ორი კაცი მუშაობს ერთის ბადით) აძლევენ 15 მანეთიდგან 25 მანეთამდე.

დღეს მართველობამ დაარიგა განცხადება, რომ ის დროებითი კანონი, რომელიც იყო შემოტანილი 1880 წელს და მთავრობის განკარგულებით გადადებული იქმნა სამის წლით, 1885 წლიდგან 1888 წლამდის, კიდევ სამის წლით გადიდებაო, იჯარის წესი იგივე დარჩებაო. ვაჭრობა დანიშნულია 1888 წელს მარტის 22, 24, 26 და 29 რიცხვებში. გასაკვირველია, რომ ეს ასე მოხდა, მაშინროდესაც ეს თევზის კანონი უვარგისად იცნეს თვით პირველად შემდგენელმა ბ-ნმა სოკოლოვმაც-კი. ამ საგანზე იყო წარდგენილი სამინისტროში ახალი პროექტები სოკოლოვისა და ტიხეევისა, მაგრამ, როგორცა სჩანს, სამინისტროს ვერ მოუსწრია განხილვა პროექტებისა.

ახალის პროექტის ძალით დიდი ცვლილება მოხდებოდა თევზის ჭერაში. ამ კანონის ძალით ერთი წილი

---

[1] იხ. „ივერია“ 1887 წ. № 59, ალ. გარსევანიშვილის „წერილი მოსკოვიდამ“.

[2] ამ წლის „ივერია“ № 269.

*) იხ. „ივერიის“ № 270.

მტკვრისა სულ თავისუფალი უნდა ყოფილიყო, ვერა მოიჯარადრენი ვერ შეეხებოდნენ ამ ერთს წილსა. რასაკვირველია, მაშინ თავიდგან ბოლომდინ ყველგან მტკვარში კარგი თევზის ჭერა იქნებოდა. მართალია, ბანკი და სხვა ქვემო ნაწილები ცოტათი მაინც მნიშვნელობას დაჰკარგავდნენ ხაზინისთვის, რადგან იმ ფასს არ მისცემდნენ, რასაც დღეს აძლევენ, მაგრამ საზოგადოდ რომ ვთქვათ, ხაზინა სრულებით არას წააგებდა, რადგან ყველა ნაწილები ფასში ძლიერ მაღლა აიწევდა და შემოსავალი, თუ მომეტებული არა, რაც ეხლა შემოდის, ეს ხომ შემოვიდოდა. ყველა ნაწილის მოიჯარადრე ბლომად დაიჭერდა თევზსა, ამითი იაფობა ჩამოვარდებოდა თევზისა და ხიზილალისა და ადგილ ობრივნი მცხოვრებნი მთელ მტკვარზე ალაზნამდის ყველგან იშოვნიდნენ სამუშაოს. ვნახოთ, რას იტყვის მომავალი მარტი, ვნახოთ, ვის დარჩება გამოსაწუწნავად მსუქანი ციმბირის თავი და თართის ლაფიცხაური. უეჭველია, ვისაც გემო გახსნილი აქვს თევზეულობაში, ის ეცდება არ დაჰკარგოს მსუქანი და გემრიელი ლუკმა, მაგრამ ისიც მოხდება ხოლმე, რომ ზოგს პირიდგან გააგდებინებენ ლუკმასა. ფითოევი, მანთაშოვი და კომ., რასაკვირველია, ეცდებიან, რომ არ გაუშვან ხელიდგან და ან-კი ვინ შეიძლებს ამათთან ბრძოლას? ტფილისელ ფულიანთ რომ ტფილისშივე ვერა მოუხერხებიათ-რა, ტფილისს გარედ რას მოახერხებენ? ის არა სჯობია, შინ ისხდნენ თავისუფლად და თავადებს ახდევინონ ორმოცი და სამოცი პროცენტი; ამას არც დიდი შრომა უნდა და არც დიდი დავიდარაბა და გამოცდილება.

დასასრულ ამისა ვისურვებ, რომ იმ განცხადებას, რომელსაც სამართველო, უეჭველია, გაუგზავნის გუბერნატორებსა და მაზრის უფროსებს და აუწყებს, რომ 1888 წ. მარტში იქნება ქ. ბაქოში ახალი ვაჭრობა მტკვრის სამის წლით გაცემაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმათ, ვისიც ჯერ არს, და ყველა ქალაქებში გაავრცელონ.

დროებით სალიანელი

წვრილი ამბები

— ახალს პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას არა სურს თურმე, რომ ცალკე გაზეთი დაარსოს თავის პოლიტიკის დასაცველად. პარიჟის ოფიციოზური გაზეთები აცხადებენ, რომ კარნო არავითარსამე კერძო პოლიტიკას არ გაჰყვება და, მაშასადამე, არც საკუთარი გაზეთია იმისათვის საჭირო.

— პაპის იუბილეის დღისათვის დაუბეჭდიათ იმის მიერ შეთხზული ლექსები.

— 1888 წლის იანვრიდგან პოზნანის მოსამზადებელს სასწავლებლებსა და გიმნაზიებში პოლშურის ენის სწავლება მოისპობა.

— მასსაჩუსეტის უმაღლეს სასამართლოში ამას წინად ერთი საქმე გაურჩევიათ და საქმის წვლილის შესატყობად წაუკითხავთ 1,100 საარშიყო წერილი, ყმაწვილ-კაცის მიერ თავის საცოლესთან მიწერილი.

— საფრანგეთში მამულის-მოყვარეთა საზოგადოების თავ-მჯდომარედ სანბეფის მაგივრად, რომელიც ეს არის ეხლა ამოირჩიეს და უარი სთქვა, ფერი დ'ეკლანი ამოურჩევიათ.

— როგორც მოლოდინი აქვთ, 1888 წლის განმავლობაში ორი სრული მთვარისა და სამი კერძო მზის დაბნელება უნდა მოხდეს შუა ევროპაში.

— გაბრიელს მაკსს დაუხატია ახალი სურათი: „წმ. ქალწული ყმაწვილ ქრისტეფორთ“.

— სერბიის მთავრობას ეკონომიის გულისათვის გადაუწყვეტია გააუქმოს ჟანდარმთა თანამდებობა მთელს სამეფოში, ბელგრადს გარდა, სადაც ასი ჟანდარმია თურმე დატოვებული.

— გერლიცის ფაბრიკიდგან, რომელიც გერმანიაშია, გაუგზავნიათ სოფიაში ვაგონები სამხედრო იარაღის გადასატან-გადმოსატანად. ბოლგარიას სულ 250 ვაგონი შეუკვეთნია გერლიცის ფაბრიკისათვის.

— ახალ გამოძიებას, ვილსონის საქმის შესახებ დანიშნულს, როგორც პარიჟის გაზეთები ამბობენ, არავითარიმე კავშირი არა აქვს თურმე კაფფარელისა და დ'ანდლოს საქმესთან. ვილსონი ყოველ დღე შუადამემდის აჭარებს თურმე გამომძიებლისას. ამ საქმეში სამი სხვა ადამიანია კიდევ ჩარეული, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან: აი სახელები ამ დაპატიმრებულთა—არმან დიუბრეილი, ებერი და ანტუან რიბოდი.

— ინდოეთში 1886 წელს გარეულ ნადირისა და შხამიან გველების გამო დაღუპულა 24,841 კაცი, ამათში 2,707 კაცი გარეულ ნადირს გაუფათრავს და 22,134 კაცი გველებს დაუშხამავთ. ვეფხვებს 928 კაცი უმსხვერპლიათ, მგლებს—222, ტურებს—477, მიწის ნიანგებს—198. პირუტყვი-კი სულ 57,541 დაღუპულა.

— კუბოში დამარხული. სამხრეთ კაროლინაში ერთს 17 წლის ზანგის ქალს ავადმყოფობის შემდეგ სალათას ძილით დაუძინია. ქალი გარდაცვალებული ჰგონებიათ და წაუღიათ კიდეც მიწას მისაბარებლად; გზაზედ სასაფლაოსკენ კუბოდგან მოსმენიათ კვნესა და ძახილი. როცა კუბოსათვის თავი აუხდიათ, უნახავთ, რომ არამც თუ გარდაცვალებული მოსულიერებულა, არამედ უშობნია კიდეც. ყმაწვილი და დედა ეხლაც ცოცხალნი და ჯან-საღნი არიან თურმე.

— სარდუს პიესა „Tosca“ ჯერ უკვე ოცჯერ წარმოუდგენიათ და ამ ოც წარმოდგენაზედ 100,000 მანეთის ბილეთები გაყიდულა, ასე რომ ორთა-შუა რიცხვით თითო წარმოდგენაზედ 5,000 მანეთი შემოსავალი ჰქონია.

— ამას წინად ლონდონის სამკურნალო „Charind Cross“-ში შემდეგი ახირებული შეცდომა მოსვლიათ. ორი ავადმყოფი სულ რამდენისამე საათის განმავლობაში გარდაცვლილა და ერთი გვამი გარდაცვალებულისა ცოლს მოუთხოვნია. წარმოიდგინეთ გაკვირვება საბრალო ქვრივისა, როდესაც უნახავს, რომ იმასთან გაგზავნილი გვამი იმის ქმრისა-კი არა, სხვა ვიღასიცა ყოფილა. გვამის გამოცვლა მეორე დღემდის არ შეიძლებოდა და საბრალო ქვრივი ერთი დღე-ღამე იძულებული იყო თურმე ვიღაც უცნობის გვამთანა მჯდარიყო და გამოეტირა.

გულმა შეუტყო.

(საშობაო ამბავი)

ჩვენ სოფელში ყველამ იცოდა, ვინ იყო „გიჟ ბარბარე“. უბედური დიდი ხანია განისვენებს ადგილსა მას მწვანილოვანსა, სადა არა არს მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ ცხოვრება იგი დაუსრულებელი. სიცოცხლეშიკი ბევრი ტანჯვა და ვაება გამოიარა...

რამ მომაგონა ეს ამბავი, მერე ამისთანა ბრწყინვალე დღესასწაულს, შობა დღეს? შობა სიხარულია, სიცოცხლის დასაწყისი, სიკვდილი-კი—მწუხარება, ტირილი და სიცოცხლის დასასრული!.. ვითომ? ამბობენ, სიხარული და მწუხარება, სიცილი და ტირილი, სიცოცხლე და სიკვდილი ხელი-ხელს არიან გადაბმულნიო. ვინ იტყვის, რომელი თავია და რომელი ბოლო? განა ხშირად სიკვდილი უფრო უკეთეს სიცოცხლეს არ მოასწავებს?!. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. უბედური ბარბარე ამიტომ არ გამახსენდა. პატარაობისას ერთი უცნაური და საშინელი ამბავი გამიგონია, ისეთი საშინელი ამბავი, რომ დღესაც როცა მოვიგონებ, თავზე თმები კალხს ამიდგება ხოლმე. ეს ამბავი დღემდის გულიდამ ვერ ამომიღია, მოსვენებას არ მაძლევს. მოდი სხვებსაც ვუამბობ.

—

ვიქნებოდი ეგრე თორმეტის წლისა. სკოლაში სწავლა გაგვითავდა და საშობაოდ შინ დაგვითხოვეს. სოფელში ორის დღის მისულები ვიყავით მე და ჩემი ძმა. იმ წელიწადს მშრალი ზამთარი იდგა. თოვლი ზარტო ახლო-მახლო მთებზე დადო. ხმელმა ყინვებმა თავის სუსხი გამოიჩინა, მოუჭირა დედამიწას და სულ დახეთქა. სოფელში ვიშვიშებდნენ, ცუდ-მოსავლიანი წელიწადი დაგვიდგებაო. ჩვენ ამისი რა გვედარდებოდა, ჩვენ ის გვიხაროდა, რომ სწავლას თავი დავახწიეთ და შინ მოვედით.

დადგა შობის ღამე. ხმელ ყინვებს ქარიც მოემატა. ყინვამ უფრო ძლიერ მოუჭირა. სოფელში ხმაურობა მალე მისწყდა, მიჩუმდა. მხოლოდ ძაღლის კავკავი და მშიერ ტურების ჩხავილი თუ-და გაისმოდა ხოლმე ხანდისხან, და მოწმენდილი, კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა წყნარად დაჰყურებდა ზმოდამ მიჩუმებულს სოფელსა. ვარსკვლავები ისე ძლიერ ბრწყინავდნენ, თითქოს ისინიც სადღესასწაულოდ მოურთავთ და გაულამაზებიათო. აი სადღესასწაულოდ მოკალული და გახეხილი ქვაბები და სინებიც სწორედ ასე ბრწყინავენ!

გარედ ცივა... რა გვენაღვლება, შინ ხომ თბილა. აგერ ბუხარში ცეცხლი რა მხიარულადა გუგუნებს. მე და ჩემი ძმის გარდა სახლში სხვა ყმაწვილებიც იყვნენ, მხოლოდ ჩვენზე პატარეები-კი. რა თავმომწონედ ვუყურებთ ამ პატარეებს. დიდრონებიც სხვა ნაირად გვექცეოდნენ ჩვენ, გვანებივრებდნენ. რაც უნდა იყოს, ჩვენ სხვები ვართ:—ოთხი თთვე არ ვენახეთ, სკოლაში ვსწავლობდით. პატარეები შემოგვენატროდნენ, იმათ თვალში ჩვენ სრულიად სწავლულები ვიყავით. ჩვენც თავი მოგვქონდა, სწავლულობაზე თავსა ვდებდით, ყველაფერში ვცდილობდით, ჩვენი სწავლა გამოგვეჩინა. მაგრამ თუ ლაპარაკში ცოტა კინკლაობა მოგვივიდოდა ხოლმე პატარეებთან და დავინახავდით, რომ ლაპარაკის საფანელი გვაკლდებოდა, მაშინვე დიდ-გულა სახეს მივიღებდით და სიტყვას გავაწყვეტინებდით: „თქვენ რა გესმით, თქვენ ხომ არა გისწავლიათ-რა“. და რომ უფრო კარგა დაგვერწმუნებინა, რომ არა იციან-რა, პატარა მუჯლუგუნებსაც წავკრავდით ხოლმე. ვიცოდით, ხმას არავინ გაგვცემდა. ეხლა მეცინება, ამ ამბავს რომ მოვიგონებ ხოლმე. ჩვენს ლაპარაკს რომ დასწრებოდა ვინმე და ეკითხნა:—აბა, ჩემო მსწავლულებო, მითხარით, თქვენ რაღა იცით,—სირცხვილით ვაწითლდებოდით, რადგან, სწორედ უნდა მოგახსენოთ, არც ჩვენ გვქონდა შეძენილი დიდი რამ ცოდნა და სწავლა

ყმაწვილობა მაინც თავისას არ დაიშლის. ჩვენ თითონვე დავინახეთ, რომ სწავლულობის ნაბადში ტყუილად ვეხვეოდით, არ გვიხდებოდა, ჩვენი თავი ჩვენვე მიგვაჩნდა სასაცილოდ. ამიტომ თავი მივანებეთ ყოველ სწავლულობას და ყმაწვილურად დავიწყეთ არაკების და გამოცანების თქმა. იქნება ამას იმანაც უშველა, რომ შინ ფუსფუსსა და ალიაქოთს მორჩნენ და გაკრიალებულ სინზე დაწყობილმა ცვილად მოხარშულმა დედალმა და შემწვარმა, ბროწეულივით დაწითლებულმა ინდოურმა ოშხივარი აუშვა და მადა გაგვიხსნა. ძალიან გვშიოდა კიდეც. მთელი დღე გვამარხულეს, ცარიელ პურის მეტი არა გვაჭამეს-რა:—ხვალ უფრო გემრიელად გაიხსნილებთო. ჩვენც ვითმენდით, მაგრამ ვაი იმ მოთმენას. აი სავსე ხონჩა ცხელ-ცხელი ნაზუქებიც შემოიტანეს. აქ-კი სულმა წაგვძლია, და, თვალი მოაშორეს თუ არა, ცოტ-ცოტა ყველამ წავჩიჩქნეთ...

— რატომ არ დაიძინებთ, შვილო! —გვითხრა დედამ, თითქოს მარტო ეხლა დაგვინახაო, ისე დავავიწყდით საქმეებში გაბმულს.

— ვარსკვლავს ველით დედი. აი დიდი, ბრჭყვიალა ვარსკვლავი რომ ამოვა, მაშინ ხომ შეიძლება პირის გახსნა.

— უი, თქვენ დედასა, იქნება ძალიან მოგშივდათ. ვარსკვლავი ჯერ გვიან ამოვა, შვილო, დაიძინეთ, ძილში შიმშილიც დაგავიწყდებათ.

დაგვიგეს ლოგინები მწკრივად. ჩავწექით, მაგრამ ძილი მაინც შორს მიგვირბოდა. ლოგინებში წამოვსხედით ყველანი და თან ვლაპარაკობდით, თან შევყურებდით დედაჩემს და ორ მეზობლის ქალს, რომელნიც გაჩქარებით რაღასაც ჰკერავდნენ,—ეტყობა, შობა დღისთვის უნდა მოესწროთ საკერავი.

შემოვიდა ეფემია, პურის-მცხობელი, და კიდევ სავსე ხონჩა ნაზუქი შემოიტანა.

— უი, თქვენ-კი გენაცვალოთ ეფემია, ტრედებივით არ წამომსხდარან ლოგინში. რატომ არა გძინამთ? აგერ ხარი-პარიაც ამოვიდა, საცაა ალიონიც დაიძვრება. ძილის დროა, შვილო, დამიჯერეთ! აი ბოლოს რიგი-ღა მაქვს პური ამოსაკვრელი და ისეთი ნაზუქის კვერები დაგიკრათ, რომ თურაშაულს ვაშლებსა ჰგვანდეს.

— რადა სტყუვი, ეფემი, რა დროს ხარი-პარია ვარსკვლავის ამოსვლაა, ჯერ პირველ მამლებსაც არ უყივლიათ.

— აბა დამიჯერეთ, თუ კაი ნაზუქის კვერები გინდათ!

აბა ეხლა უფრო რას დავიძინებდით! კვერები ეხლავე გვინდოდა გვენახა. ეფემიაც მალე დაბრუნდა. ყველამ ლოგინიდამ წამოხტომა დავაპირეთ.

— აი, თქვე კუდრაჭეებო, აქამდინ კიდევ არა გძინამთ! მაცალეთ ერთი, გავიდე და „გიჟ-ბარბარეს“ დავუძახო!

გიჟ-ბარბარეს ხსენება და ჩვენი ლოგინში ჩაცვივნა ერთი იყო. ფიცხლავ თავები წავყავით საბნებში, მაგრა წავიხურეთ, სული გავკმინდეთ და ხმა-კრინტის დაძვრას ველარა ვბედავდით. ასე უცბად მიჩუმდებიან და მიიმალებიან ხოლმე ჭიჭყვები, ალალი რომ დაჰქროლავთ. ყველას თვალ-წინ წამოგვიდგა რაღაც კონკებ-ძონძებში გახვეული, თმა გაშლილი, გაწეწილი, სახე შეშლილი, თვალებ ამღვრეული ბარბარე. სოფლის პატარა ყმაწვილებს ბარბარეს სახელით აშინებდნენ. ვაი მართლა ამ ყმაწვილების დღეს, თუ სადმე შეხვდებოდნენ ბარბარეს და გააჯავრებდნენ: გამოუდგებოდა ჯოხით და სულ კუდით ქვას ასროლინებდა; წყევლასა და კოქვას ხომ არ მოაკლებდა და არ მოაკლებდა. დიდრონებსაც არა ერთხელ უჭამიათ შიში ბარბარესაგან. ბარბარეს იშვიათად ნახავდით შინ მჯდომსა. იმის ფეხმა და ყბებმა დაღალვა არ იცოდნენ. სოფლები, ტყე და მინდორი ფეხქვეშა ჰქონდა ამოღებული. ყბებ, ხომ არ დააყენებდა, თითქოს მოქნილი ტყავი აქვსო, დადიოდა და ლაპარაკობდა, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო; უცბად მოუვლიდა რაღაცა, აუმაღლებდა ხმას, დაიწყებდა ჯავრობას, ლანძღვას, თითქოს ვიღასაც ეჩხუბებაო.

ბარბარეს დღე და ღამე არ გააჩნია. ხშირად უნახავთ, რომ ბნელს ღამეს სადღაც დიდ-ხევში ბარბარე ზის და თავისებურად ყვირის, ილანძღება და ვიღასაც ეჩხუბება. მეტადრე ისეთს ხევებს ირჩევდა ბარბარე ღამის სათევლად, რომელსაც სახელი ჰქონდა სოფელში დავარდნილი, რომ ეშმაკებით არის სავსეო. ამიტომ ბევრს სჯეროდა, რომ ბარბარესაც ეშმაკები ჰყავს დაბუდებული და იმ ხევებსაც ამიტომ თუ ეტანებაო. ერთი ჩვეულება ჰქონდა კიდევ ბარბარეს: დაიწყებდა ღამ-ღამეობით სოფელში სიარულს, მეტადრე ზაფხულობით, როცა ხალხს უფრო გარეთა სძინავს, მიადგებოდა ვისმე მძინარეს, მოუჯდებოდა თავით, დაიწყებდა მოთქმით ტირილსა და ფრჩხილებით მიწას ჰფხოჭნიდა... არა ერთი ვაჟკაცი წამომხტარა დაფეთებული და შეშინებულს ყვირილი დაუწყია, როცა ბარბარე ასე მტირალი დაუნახავს. ბარბარე მხოლოდ ლანძღვასა და წყევლას დაიწყებდა და თავის გზას გაუდგებოდა.

იმის გამგონს, თორმეტის წლის ყმაწვილს მოდი და გული ნუ გაგისქდებოდა!..

საბანში რომ წავეხვიე, თუმცა შიშისაგან ვკანკალობდი, მაგრამ მაინც ყური მოვკარ, რომ ერთმა მკერეალმა ქალმა უთხრა ეფემიას:

— რაზე დააფრთხე ე ყმაწვილები? მეც-კი შიშმა ამიტანა!... მართლა, ეფემი, რამდენჯერ დავპირებიხარ,—ეხლა მაინც გვითხარ, როგორ დაემართა მაგ გულ-მკვდარ ბარბარეს ეგ უბედურება.

— მოიცა, ქალო, ერთი ე ყმაწვილებმა დაიძინონ, გულები არ დაუსქდეთ შიშისაგან.

ზოგმა ჩვენგანმა მართლა დაიძინა კიდეცა და ხვრინვაც ამოუშვა. მე-კი შიშმა გამიტაცა და ჩემს თვალებს ძილი აღარ მოეკარა. სული გავნაბე და თავი მოვიმძინარუნე. ეფემიამ, გულ-დამშვიდებულმა, რომ ყველასა სძინავთო, დაიწყო. მე სმენად გადავიქეც და აი რა გავიგე.

—„მე და ბარბარე,—დაიწყო ეფემიამ, თითქმის ერთს ხნისანი ვიქნებით. ახლად მოყვანილი პატარძალი ვიყავი, როცა ჭოლოკაანთ სალომემ თავის შვილს სესიას ბარბარეზე ჯვარი დასწერა. კაი ოჯახის ქალი იყო ბარბარე, არც ის ოჯახი დაიწუნებოდა, საცა ბარბარე რძლად შევიდა. სესია დედის-ერთა იყო. დედულ-მამული ჭოლოკაანთ, მართალია, ნაკლებადა ჰქონდათ, მაგრამ სესია კარგი მხნე, გამრჯელი და მარჯვე ბიჭი იყო, და ბარბარემ ხომ ბარაქა მიიტანა თან სესიას ოჯახში. ამოუდგა ბარბარე თავის ქმარს მხარში და დატრიალდა უფლის თვალი ამათ სახლში. აფსუს, უბედური ბარბარე რა დედაკაცი იყო! დედაკაცი-კი არა, ჩახმახი იყო, ჩახმახი. დილით საღამომდე იმისი ხელფეხი არ დადგებოდა, ჯარასავით ტრიალებდა. ცომს მარტო მოზელდა და პურს ისე გამოაცხობდა, რომ ხორციელ ადამიანს არ მიიშველებდა. გუთანს მარტო გაუძღვებოდა, მ[illegible]

ცი, ჯერს დროზე ვერ მიუტანდა! მკაში და ლეწვაში ხომ ცეცხლი იყო, —ათი კაცი რომ ჰყოლოდა იმის ქმარს მომკალი, წყალს არ მოაწყურებდა. არა ერთი ვაჟკაცი შენატროდა სესიას და იტყოდა ხოლმე: ღმერთი რომ მოჰხედავს კაცსა, აი იმისთანა ცოლს მისცემს, ბედი თქვი შენაო..

„ბარბარეს ერთი ვაჟიშვილის მეტი არ ეყოლა, და ბარბარემაც მთელი თავის დედის ჯიგარი ზედ დააყარა ტეტეს. თავს დასტრიალებდა, ზედ დაჰკანკალებდა შვილსა. ვაი იმის დღეს, ვინც ტეტეს ხელს დააკარებდა. ბარბარე აფთრად გადიქცეოდა, ცეცხლს მოუკიდებდა, ზედ შეაკვდებოდა, კაცი ყოფილიყო თუ დედაკაცი. სესეს ცხვარიცა ჰყვანდა. ტეტე ეგრე თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებოდა, რომ ცხვარს ააყოლეს, თუმცა დედაკი არა ჰფიქრობდა თავის შვილი მეცხვარედ გამოეყვანა. მაგრამ ტეტემ, —რა-კი ერთხელ მთაში მოჰყვა,—შინ დაბრუნება აღარ მოინდომა. დედას თუმცა არ ეპიტნავა ტეტეს თვალიდამ მოშორება, მაგრამ უარის-თქმაც ვერ მოახერხა.

ტეტე კაი ვაჟკაცი დადგა. ცხვარს კარგად უვლიდა და თავის საქმე ისე მიჰყვანდა, რომ ყველანი შეჰნატროდნენ: დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე შენისთანაო. ზამთრობით ტეტეს ცხვარი შირაქში ეყენა. საშობაოდ-კი შინ მოვიდოდა ხოლმე, რომ შობა-ახალწელიწადი სახლში გაეტარებინა.

დადგა შობის ღამეც. ბარბარეს შვილის ლოდინში თვალები ამოაწყდა, ტეტე მაინც არსად არ გაჩნდა. ბარბარე მოუსვენრად იყო; საქმე-კი მაინც არ დაუგდია: შობისთვის ყველაფერი დაწმინდა, დარეცხა, სახლი მიალაგა, დააწკრიალა. აგერ ღამე შუაზედაც გადატყდა და ბარბარეს ძილი უფრთხოდა, ყური და თვალი სულ კარებისკენ ეჭირა—აცა ეხლა შემოვა ჩემი ტეტე, აცა ეხლაო. სახლში სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი, მხოლოდ დრო-გამოშვებით კვნესა ისმოდა სესესი, რომელიც სადღაც გაციებულიყო და ლოგინად ჩავარდა.

ბარბარემ ბუხარში ცეცხლი არ გააქრო,—ტეტე შეციებული მოვა და გათბებაო. ბარბარეს ცოტა ძილი მოერია, პირ-ჯვარი გადიწერა და თქვა: ღმერთო, ჩემი ტეტე შინ მშვიდობით მოიყვანე!... ერთი კიდევ შეხედა ბუხარს, ცეცხლი ხომ არ გაქრაო. . და რა ნახა:

ბუხარს მოსჯდომია ვიღაც კაცი. შეხედა კარგად—ტეტეა და ტეტე, ნამდვილი, ცოცხალი ტეტე...

— შვილო, ეგრე ჩუმად როგორ შემოხვედი, რომ ვერ გავიგე, ეტყობა ძალიან დამძინებია, დავიქანცე, მთელი დღე ვფუსფუსებდი... შენ-კი გენაცვალოს დედა, შვილო, რომ მოხვედი და გამახარე. რად მოგვიანებია ესე, შუა-ღამეს კარგად გადასულია, ვინ იცის, გზაში რომ შეგმთხვეოდა რამე, ათასი ბოროტი და ავი სული დაიარება... შვილო, რას გაჩუმებულხარ, რატომ ხმას არ გამცემ, არას მეტყვი? იქნება ძალიან გაციედი?.. ზურგი რას მოგიშვერია, რატომ პირს არ მიჩვენებ...

ტეტე ფეხზე წამოდგა და კარებისკენ დააპირა ისევ წასვლა. დედაც წამოდგა. შეჰხედა თავის შვილს და გული მოსწყდა: ტეტეს სახეზე მკვდრის ფერი ედო, თვალებს ძლივს ახელდა, თავი ისე ულონოდ ჩამოეკიდნა გულზე, თითქო კისრის ძარღვი მოწყვეტილი აქვსო.

— ვუი შენს დედას, ეგ რა მოგსვლია, შვილო, აგრემც მტლედ დაგედება დედაშენი. შვილო, რაზე მკლავ, რატომ არ მეტყვი არაფერს, ხმას რატომ არა მცემ? რა მოგსვლია, რა გტკივა ..

— მივდივარ, დედი, მშვიდობით, ვეღარა გნახავ .. ამოიკვნესა ძლივს ტეტემ.

— ვუი შენ დედასა, ადრე და მალე ჩასაქოლელსა! უწინამც ორივ დასამაწებელ ხელებით ეს ორივ დასაბრმავებელი თვალები დამთხროდა, ეს ყურები მდუღარე ფისით ამომლესოდა, და შენ-კი ეგრე არ მენახე და შენგან ეგ არ გამეგონა...

— ხედავ, დედი, ხანჯლით თავზე ვინ დამდგომია...

მანამ ამას იტყოდა, ხანჯალმა გაიკრიალა, ვიღამაც ხანჯალი დასცა გულში ტეტეს. ტეტე ისე მოსწყდა და დეცა, როგორც ცულით მოჭრილი ხე ..

დედამ ერთი საზარლად შეჰკივლა, თითქოს გულ-ღვიძლი ოხან ამოატანაო, და ხელები გაშალა, რომ შვილს ხანჯალი ააცილინოვო...

წამოხტა შეშინებული, ავადმყოფი სესე, მოვარდნენ ახლო მეზობლებიც, —ბარბარე გულ-წასული, გაშხლართული ეგდო დედამიწაზე. ძლივს მოაბრუნეს და გონს მოიყვანეს. ენა-კი მეორე დღემდე ძლივს დაუბრუნდა. ბარბარემ ყველაფერი უამბო, რაც ღამე ნახა. დედაკაცებმა ნუგეში მისცეს: „ჯვარი ეწეროს შენს ტეტეს, დღეგრძელი იქნება, დღეს-ხვალ შინ მშვიდობით მოგივაო“. დედას მაინც გული გულს არა ჰქონდა. გულის ცახცახით ელოდა, აი ან ეხლა მოვა ჩემი ტეტე, ან ეხლაო.

მოუვიდა, თუმცა გვიან-კი... ჩემს მტერსა და მაწყევარსაც ნუ დაუბრუნდება ასე შინ შვილი. მეცხვარეებმა მოჰგვარეს ბარბარეს მკვდარი ტეტე. სწორედ შობის ღამეს თათრები დასცემოდნენ მეცხვარეებს და ცხვარი მეეტაცნათ. ტეტე გამოსდგომოდა და თათრებს ხანჯლით მოეკლათ..

ტეტეს დამარხვის შემდეგ სესეც მალე მოკვდა. ბარბარე ჯერ გაქვავებულივით იყო, ხმას ვერ ვაღებინებდით, თითქოს კრიჭა შეეკრაო. მერე, თითქოს გულიდამ რაღაც დიდი ლოდი მოეშვაო, დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ აი ისე, როგორც ეხლა ლაპარაკობს. დაკეტა სახლი და ათასში ერთხელ-ღა თუ მოაგონდება სახლის კარი, თორემ სულ აი ესე დადის უგზო-უკვლოდ“...

გაათავა ეფემიამ. დიდხანს ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ.

— ემი, როგორ გგონია, ვინ იყო ის, შობა ღამეს რომ გამოეცხადა ბარბარეს: მართლა ტეტე იყო, თუ ისე მოეჩვენა?—იკითხა ბოლოს ერთმა მკერალმა ქალმა.

— რა ვიცი, ქალო, იქნება ტეტეს სული იყო და დედასთან გამოსამშვიდებლად მოვიდა!.. დედას-კი გულმა სწორედ შეუტყო!..

დონ-იაგო

დეპეშა

23 დეკემბერი

სტამბოლი. სტამბოლში მიუღიათ სადიპლომატიო ცნობა, რომ პრეზიდენტს კარნოს მიუნდვია საფრანგეთის ელჩისათვის გერმანიის კარის წინაშე, ახალს წელიწადს, როცა იმპერატორს ვილჰელმს ინახულებს, გამოუცხადოს, რომ კარნო განმსჭვალულია მშვიდობიანის განზრახვითაო და სანამ პრეზიდენტად იქნება, საფრანგეთის არც ერთი კაბინეთი ომს არ ისურვებსო.

ლონდონი. ავღანისტანის ემირს მიუმართავს დეფერინისათვის და უთხოვნია, ევროპიელი აფიცერი გამომიგზავნე ჯარების გასაწრთვნელადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ს დეკემბერს.

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 12
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	182
მანათიანი ვერცხლის ფული.	— ›	— ›	1 32
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	— ›	— ›	275 3/4
— მეორისა	— ›	— ›	250
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. .	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

25 დღე პარასკევი. შობა უფლისა იესო ქრისტესი. უქმეა სამი დღე. იანვრის ხუთამდის ოთხშაბათ-პარასკევსაც ხსნილია ხორცითა. კათოლ. შობა იესო ქრისტესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—45. მთვარე 24 დღისაა.

26 დღე შაბათი. კრება ყოვლად წმ. ღვთის მშობლისა. კათოლ. წმ. სტეფანე პირველ-მოწამისა; ესევე სომეხთაცა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 ჰიჯრისა .—ჭეშმარიტი შუა-დღე 13—6. ტფილისში მზე ამოდის 7—30, ჩადის 4—44. მთვარე 25 დღისაა.

27 დღე კვირა. წმ. მოც. პირველ-მოწ. სტეფანესი. კათოლ. წმ. მოციქ. და მახარებ. იოანესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—30, ჩადის 4—46. მთვარე 26 დღისაა.

28 დღე ორშაბათი. წმ. ორთა ბევრთა ნიკომიდიელთა. კათოლ. წმ. მოწ. ყრმათა. სომეხ. წმ. მოციქ. პეტრესი და პავლესი. ნახატონაქი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—48.

29 დღე სამშაბათი. წმ. ოთხმეტ ათას ყრმათა ბეთლემისა. კათოლ. წმ. მოწ. თომასი. სომეხ. წმ. იაკობ. მოციქულის და წმ. იოანე მახარებ. აღების ღამე სომეხთა შობის მარხვისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—49. მთვარე 28 დღისაა.

30 დღე ოთხშაბათი. წმ. ქალწ.-მოწ. ანუსიასი და ღირსისა ზოტიქესი. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—50. მთვარე 29 დღისაა.

31 დღე ხუთშაბათი. ღირსისა მელანიასი. კათოლ. წმ. ალმსაარ. პაპა სილვესტრისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 30 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . .	› ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ძროხის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 ›
› 2 ›	5 ›

იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვაო გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელი-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გე გა მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტოსიდამ სწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილის კადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

ღამის მეხრე ტეტე

მოთხრობა
სოფრონ მგალობლიშვილისა,
გამოცემული ზ. ჭიჭინაძეს მიერ.
ფასი ერთი აბაზი.

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა, ქართულს

„მწყემსზედ“

და რუსულ ПАСТЫРЬ-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცნობა საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერობა ქრისტიანობრივის კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) ახსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათის მოვალეობის ასრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

12 თვით „მწყემსი“ 5 მ.	6 თვით „მწყემსი“ 3 მ.
— ორივე გამოც. 6 მ.	— ორივე გამოცემა 4 მ.
— რუსული „ 3 მ.	— რუსული „ 2 მ.

წერილების გაგზავნა და პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში, რედაქციის სტამბის კანტორაში, ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію **„Мцкемси“** (Пастырь). ყვირილაში „მწყემსი“-ს რედაქციაში.

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბ.ბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ეგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებლის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25. (20—4)

Доз. цен. Тиф. 24 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.